საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

18/03/2022
N 09-02-16/126

126-09-02-16-2-202203181513

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის
და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ **ნინო ნიჟარაძეს**

სადეპუტატო კითხვა

ქალბატონო ნინო,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, წერილობით მოგვაწოდოთ ინფორმაცია, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ამოქმედებიდან (2017 წლის 8 დეკემბრიდან) - 2022 წლის 18 მარტის მდგომარეობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ:

- არის თუ არა გაცემული გრანტი;
- გრანტის გაცემის თარიღი;
- გრანტის მოცულობა (საგრანტო თანხა);
- გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის გრანტის გაცემის დოკუმენტის პროექტი მის გაფორმებამდე იყო თუ არა წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები